№ 1. 1920 წ. 12 დეკემბერი. ფასი 50 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1676
1920

# გვარდიელი

ჟურნალი

სახალხო გვარდიელი.

39




გაუმარჯოს რევოლიუციონურ სახალხო გვარდიას და ახალგაზრდა ჯარს!

## 12 დეკემბერი (29 ნოემბერი).

დღეს სრულდება სამი წელიწადი მას შემდეგ, რაც თბილისის მუშათა კლასის მოწინავე შვილებმა იარაღით ხელში აიღეს „არსენალი" და მით ხელიდან გამოსტაცეს კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს ის მთავარი საშუალება, რომლითაც ისინი ფიქრობდენ თავიანთი ბნელი განზრახვების სისრულეში მოყვანას და თავისუფლების აღორძინის ცეცხლში და სისხლის მორევში ჩახრჩობას...

12 (29 ნოემბერი) დეკემბერს დაცვა რევოლიუციის ცენტრისა და თბილისის მუშათა კლასმა ეს რევოლიუციონური გმირული ვალი ღირსეულად შეასრულა და მით თავისი სისხლით დასწერა ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი...

მას შემდეგ სამი წელი გავიდა და ბრძოლა ისევ გრძელდება.

სამი წლის წინათ ჩვენი შეიარაღებული რაზმები მცირერიცხოვანი იყო.

ეს იყო ის საშინელი დრო, როცა ქვეყანა განსაცდელში იყო ჩავარდნილი. შიგნით მოღალატენი იბრძოდნენ ზურგიდან მახვილის ჩასაცემად და გარედან მხეცური ლტოლვილებით მოიწევდნენ ჩვენი ქვეყნისაკენ ბარბაროსები. თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს მშრომელი ხალხი განმარტოებული იყო, ირგვლივ ალყა შემორტყმული და საზიდისწირო ომების ქარცეცხლში გახვეული.

ქვეყანა დაიხსნა მუშათა და სოფლელ ამხანაგების თავგანწირულმა ბრძოლამ.

მაშინ ყოყმანობას არავინ მისცემია, იყო სიტყვა, საქმე და ბრძოლა — ხალხის თავისუფლების გადასარჩენათ.

საქართველოს ხალხის მცირერიცხოვანმა რაზმებმა გასჭედეს რკინის სიმტკიცე, ფოლადის ძლიერება და საქართველოს ხალხის გულში შეიტანეს უდიდესი ბრძოლის, კეთილშობილური გრძნობებით სავსე გატაცება და თავისუფლების გასამარჯვებლად სიკვდილის სიყვარული, ჩვენი ქვეყნის სიცოცხლისათვის...

ეს იყო ისტორიაში იშვიათი აქტი, დიდებული მაგალითი...

განსაცდელის დროს ჩვენი ხალხი სულით არ დაცემულა, უკან არ დაუხევია, თავისი წითელი დროშა ხელიდან არ გაუგდია და მტრის წინაშე ქედი არ მოუხრია...

მან იბრძოლა, მძიმე და უბედური დღეები გადაიტანა, მაგრამ ისტორიის და მომავალ თაობის წინაშე ღალატი არ ჩაუდენია, გააკეთა მაშინ საქმე ეს მან სისხლით და ძვლებით.

პირველი ხანების მძიმე ბრძოლა გადაიტანა მცირე რაზმებმა, მაგრამ ის სწრაფად გაიზარდა, ირგვლივ შემოიკრიბა საქართველოს დემოკრატიის აქტიური და რევოლიუციონური ძალები და სამი წლის განმავლობაში დარაჯათ უდგას თავის ქვეყანას, თავისუფლებას...

სძლია და დაამარცხა შინაური ანარქია, მით სამოქალაქო ომი აცდინა ჩვენს ქვეყანას, ძმათა შორის სისხლი არ დაღვარა....

შეუპოვარი თავგანწირვით შეებრძოლა ოსმალეთის ბარბაროსულ შემოსევას. ჩოლოქის, ვაშნარის, აწყურის, ძლიერი გამარჯვებანი მიანიჭა თავის იარაღს.

დაშნაკცუთიუნის თავდასხმას შეტევით გასცა პასუხი და პირი უკან აბრუნებია.

წლობით არ დაუსვენებია და რუსეთის ცარიზმის რეაქციას, დენიკინის შავს არმიას ებრძოდა და მზესთან გმირულად გასცა მას რევოლიუციონური პასუხი.

ადერბეიჯანიდან მოზღვავებულ წითელ არმიელებს, რომელნიც დაჩვეულნი იყვნენ იოლ გამარჯვებას, დაანახვა, თუ როგორია მძიმე დამარცხება...

ყველგან თავგანწირულად იბრძოდა სახალხო გვარდია.

მასთან იყო საქართველოს ახალგაზრდა ჯარი...

მსხვერპლი დიდი იყო. ბევრი გმირი დაეცა მოვალეობის სადარაჯოზე გულ დაფლეთილი, ბევრი ძვირფასი ამხანაგი გვარდიელები და ჯარისკაცები დავკარგეთ, მაგრამ მათმა სიკვდილმა შექმნა სიცოცხლე ქვეყნის და ხალხი იხსნა განადგურებისაგან.

ჩვენი ქვეყნის ყოველივე საზღვრები, კუთხეები სისხლით მორწყულია, გმირთა ძვლებით მოკირწყლულია...

აქ, ამ სამი წლის განმავლობაში იყო მთლიანობა, იყო მტკიცე ნდობა... აქ არ იყო რყევა, არამედ ბრძოლა, სიკვდილი და გამარჯვება...

თავდება მესამე წელი, გადავდივართ მეოთხეში...

ჩვენ სამი წლის განმავლობაში გავაერთიანეთ მთელი ჩვენი ძალები, მტკიცეთ შევიგნეთ დემ. სახელმწიფოს მოვალეობა, დაცვა თავისუფლებისა და ემზადებით მომავლისათვის...

ჩვენი მოძრაობა ძლევამოსილი სხივებით არის გაშუქებული... ჩვენ არ მოგვიხდენია ცდა ჩვენს სხეულზე, არამედ ვიბრძოდით და ამ ბრძოლაში იარაღს არ დაუტყვევებივართ, არამედ იარაღი თვით დავიმორჩილეთ.

ეს იყო უდიდესი გამარჯვება .. ომის დროს ბრძოლის ველზე ვიბრძოდით... შრომის დროს ყანაში, დაზგასთან ქარხანაში, თავისუფალ სახელმწიფოს საქმიანობაში ვიღებდით მონაწილეობას, ვემზადებოდით გონებრივად.

ჩვენი მოძრაობის ტრადიციებში ეს მტკიცე ნება განსახიერებულია და ღრმათ გვწამს, ასე იყო, ასე დარჩება და მომავალიც ჩვენია...

დღეს 12 დეკემბერია, ბრძოლის მესამე წლის თავი...

და ბრძოლა არ დამთავრებულა,

ჩვენი ქვეყნის ირგვლივ კვლავ ამოიმართა მონობის ჩრდილი და საშინელ იმპერიალისტურ ქარიშხალის ტალღებში ვართ გახვეული.

მესამე წლისთავი თენდება ფრონტზე და მოლოდინში..

ჩვენ არ გვსურს უდანაშაულო სისხლი დაიღვაროს...

ვიბრძვით ომის წინააღმდეგ და ყველა ქვეყნის ჩაგრულ[illegible] მოვუწოდებთ ძმური კავშირისაკენ, მშვიდობიანობისაკენ...

და თუ ჩვენი სამართლიანი ხმა არ მოისმინეს, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით ბრძოლაში მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს...

ჩვენ არც გვეშინია და არც დავმარცხდებით...

სამი წლის განმავლობაში ჩვენი სახალხო გვარდია, ახალ[illegible] გაზრდა ჯარი, რომელიაც მოსვენება არ უნახავთ, არავი[illegible] ნებას არ მისცემს, რომ თვის მაცდური განზრახვებით ჩააქ[illegible] როს ჩვენი თავისუფლების სინათლე და პონობის გორკილ[illegible] დაგვადვას...

ჩვენი მუშათა კლასი და სოფლის მშრომელი ხალხ[illegible] რეაქციას არ შეურიგდება, საიდანაც და რა სახით არ უნდ[illegible] მოდიოდეს ის...

მიუხედავათ იმისა, რომ დიდი გაჭირვებაა, მდგომარეობ[illegible] ცუდია, ჩვენი მებრძოლი ხალხი იმ წამების ჯვარს, რომე[illegible]

ოც მიაქვს სოციალიზმისაკენ, მიიტანს თავის დანიშნულ
დგილს და ვერავინ მას ვერ შეაჩერებს...

დღეს, თავის სამი წლის ბრძოლას ათვალიერებს, დას
ვნას უკეთებს, დღესასწაულობს, ახალი ბრძოლისთვის ემ-
ადება...

და ამ სამი წლის თავზე მის ბრწყინვალე ბრძოლის
მედეგებს აღვნიშნავთ და ჩვენ სალამს ვუძღვნით,

დიდება და უკვდავი ხსოვნა ბრძოლაში დაღუპულ ამ-
ხანაგებს!..

სალამი და გამარჯვება [სახალხო გვარ[illegible] ჯარს!



სახალხო გვარდიის პირველი მთავარი შტაბი.

# თავდადებულნი

დადგა საშინელი, ცივი ზამთარი. მთელი ქვეყანა დიდმა
თოვლმა დაფარა და დედა-მიწის ამ თეთრ სამოსელს ყველგან
რწყავს და აფერადებს ადამიანის სისხლი.

დარჩა მხოლოდ ერთი პატარა, მაგრამ კეკლუცი კუთხე,
სადაც სისხლს თოვლი და ქვეყანა არ შეუღებავს და ამ შე-
ნახულ კუთხეს საქართველო ქვია!..

პატარა და ლამაზი საქართველო გადურჩა იმ საშინელ
ქარტეხილს, რომელმაც გაანადგურა და დასცა მრავალი დიდი
და პატარა სახელმწიფო.

და არამც თუ გადურჩა, არამედ იშვა, გაიზარდა და გა-
ძლიერდა ამ დიდ მსოფლიო ქარტეხილში!..

მრავალი გაჭირვება, მრავალი ტანჯვა და საშინელება
ენახავს საქართველოს, მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაში
მან ისწავლა ტანჯვის ატანა და გაჭირვების დაძლევა.

მან ისწავლა გამარჯვება!... და ეს იმიტომ, რომ საქარ-
თველოს ჰყავს მტკიცე, შეგნებული და ძლიერი ხალხი.

საქართველოს ყავს თავდადებული ხალხი!...

და ამ ხალხს ყავს თავისი ძვირფასი, თავდადებული შვი-
ლები.

ბევრმა მათგანმა უკვე დასდეს თავი ხალხის და თავისუ-
ფლებისათვის...

ჯერ ჩვენი ბრძოლა კიდევ არ გათავებულა. ჩვენ კვლავ
განვაგრძობთ ბრძოლას და ამიტომ არ გვაქვს უკან მოხედვის
ბრძოლისა და სიყვარულით შეჩერების ის საგმირო ბრძოლაზე, რო-
მელიც ამ სამი წლის განმავლობაში განვლო ჩვენმა ხალხმა.

მომავალი ჩვენზე უფრო შეისწავლის და შეიყვარებს ამ
ბრძოლას.

მომავალი შეიყვარებს მას, როგორც შვილი მშობელს.

მომავალივე აღადგენს ყველა იმ თავდადებულ მებრძო-
ლთა სახელს და საქმეს, რომლებიც დღეს ხშირათ გვავიწ-
ყდება, რომელთა მოგონების დროც აღარ გვრჩება...

მაგრამ ზოგი საფლავი ჩვენ არასოდეს არ გვავიწყდება.
განსაკუთრებით არ გვავიწყდება დღეს, როცა ჩვენი შეიარა-
ღებული ძალა თავს იყრის დათოვლილ ბორჩალოში,

ვინაიდან ბორჩალოს მინდვრებში დაეცნენ ისინი, მტრის
ტყვიისგან გულ განგმირულნი!

მრავალი გაიგმირა იქ მტრის ტყვიისაგან და მათში პირ-
ველი ალაგი უჭირავთ ვალიკო შარაშიძეს და სანდრო მაი-
სურაძეს.

ვალიკო მოჰკლეს შუა ზაფხულში, 12 ივნისს, როცა ქვე-
ყანა ამწვანებული იყო და უხვი მზე აფერადებდა ქვეყნის
შვენებას.

სანდრო კი მოკლეს ცივ და სუსხიან ზამთარში,—19 დე-
კემბერს, როცა ქვეყანა თეთრათ იყო შემოსილი და ამ თეთრ
ზეწარს წითელი სისხლი ქარგავდა!..

ვალიკო მოკლეს თათრებმა, ხრამის ნაპირას სოფელ დიდ
კოშაკილისაში. სანდრო კი მოკლეს სომხებმა, იმავე ხრამის
ახლოს, სოფელ ეკატერინენფელდში.

კაშა-კილისა და ეკატერინენფელდი ერთმანეთს გაყურე-
ბენ!..

ვალიკო მოკლეს მაშინ, როცა ის ცდილობდა სომხების
განთავისუფლებას თათრების ტყვეობისაგან, სანდრო კი მოკ-
კლეს ამ განთავისუფლებულმა სომხებმა...

საქართველოს პარლამენტის

სანდროც და ვალიკოც შეეწირენ ხალხს და მის სიყვარულს.

ვალიკოც და სანდროც იყვენ გმირები, რადგანაც ისინი გმირობას არ ცდილობდენ!...

ზაფხული გავიდა და განვლო ვალიკოს სიკვდილის ორი წლის თავმა. დადგა ზამთარი და მოვიდა სანდროს დაღუპვის ორი წლის თავი.

და ორივე ძვირფასი მეგობარი მე მამაგონდა! და მათთან ერთად მომაგონდა ის მრავალი სხვა, რომლებმაც ასეთივე ალტაცებით თავისი თავი შესწირეს თავის ქვეყანას.

ბევრს მათგანს არ იცნობს საზოგადოება, მაგრამ ხალხს უყვარს ეს უსახელო გმირები, რადგანაც ხალხმა იცის რა დიდი იყო მათი თავდადება, რა ძვირფასი იყო მათი მსხვერპლი.

და ჩვენ მათგან უნდა ვისწავლოთ მსხვერპლის გაღება და თავდადებაც!

განსაკუთრებით დღეს, როცა მრავალი მტერი ყოველ მხრივ გარს შემოგვრტყმია!..

და თუ ყველამ, მთელმა ხალხმა ისწავლა თავდადება, ვერავითარი მტერი ჩვენ ვერას გვავნებს და თავისუფლების დროშას ვერ დაამარცხებს.

**ვალიკო ჯუღელი.**



არსენლისკენ გალაშქრების წინა დღე.

## კაი დღე!

12 დეკემბერი!.. ასე გგონია—ეს იყო გუშინ, ისე ნათელია მეხსიერებაში წარმოშობა ამ კაი დღისა! ისიც გგონია: ეს იყო... სამი საუკუნის წინათ!. ისე დიდია, ისე გძელია განვლილი მანძილი ამ მოკლე დროის სივრცეზე!

თორმეტი!... ეს ჩვენი კაი, ჩვენი ბედნიერი რიცხვია... ჩვენ ახალ კალენდარში ამ თარიღით სხვა დიდი დღეებიცაა აღბეჭდილი: პირველყოვლისა 12 მარტი—დღე თავისუფლებისა! მეორე 12 მარტი—დღე დამფუძნებელი კრებისა! 12 იანვარი—ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისა!

მარა. ყველა ეს თორმეტნი ხომ ამ დღით, 12 დეკემბრით ცოცხლობენ!

3 წლის წინათ იშვა იგი და რაც მეტი ხანი გადის, მით უფრო მეტსა გრძნობ სიდიადეს ამ ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი შობილისა!

აქედან რა გასაკვირია, თუ ჩვენ მას ასე შევხარით. უსაზღვრო იქნებოდა ეს სიხარული, რომ მას არ ზღუდავდეს, არ ანელებდეს აჩრდილი, წითელი აჩრდილი იმ საბედისწერო მეორე დღისა, რომელიც 12 დეკ. უფროსია მხოლოდ ერთი თვითა და ხუთი დღით! ეს გახლავსთ ნოემბრის (ძვ. სტილით კი ოქტომბრის) გადატრიალება—დიდი ისტორიული აქტი, რომლითაც თავდება საერთაშორისო ომის ქარცეცხლიდან წარმოშობილი რუსეთის დიდი რევოლიუცია და საიდანაც იწყება ამ მრავალტანჯული და ჯვარცმული ქვეყნის უსაშინელესი ტრაღედია. ნოემბრის გადატრიალებამ რუსეთთან ერთად აფორიაქა ჩვენი ცხოვრებაც. მან ერთის დაკვრით მოგვწყვიტა იმ ხალხს, რომელთანაც მთელი საუკუნე გვაკავშირებდ და... გადასროლა ჩვენი ბედის ნავი ანარქიის აბობოქრებულ მორევში. ამ ნავის ხსნა, მისი სამშვიდობოზე გამოყვანა—ა ის ახალი მიზანი, აი ის მეტად რთული და ძნელი გამოცანა რომელიც დაუყენა წინ ჩვენს პაწია საქართველოს ისტორიუ ლმა სფინქსმა თავისი მრისხანე მუქარით: ამოიცან, თორე ჩაგყლაპავო! ბრძენმა ედიპმა ჩვენი ხალხისამ—ჩვენმა დემოკრა ტიამ შესძლო ამ ამოცანის ამოცნობა. მისი წიაღიდან წარ მოშობილმა ძალებმა გვიხსნეს იმ უფსკრულისაგან, რომლის პი რად ჩვენ დაგვაყენა რუსეთის რევოლიუციის განვითარები ულმობელმა პროცესმა! ამ დემოკრატიის, ჩვენი დემოკრატიის

ბელადმა—ტფილისის პროლეტარიატმა, ადრე იგრძნო მოახლოება საშიშროებისა. თავისუფლების ფხიზელი გუშაგი, რომლის პოლიტიკურმა შეგნებამ ასე დიდი ნაბიჯი გადადგა წინ თვით შავი რეაქციის დღეებშიაც კი,—თბილისის პროლეტარიატი არ შეუშინდა 905 წლის ჩვენი წითელი რაზმელების შავს აჩრდილს. და აი, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცდენათ მან პირველმა აიღო სიტყვა და გადაისროლა თავისი რევოლიუციონური ლოზუნგი: მუშათა ღონიერი ხელით მოპოებული თავისუფლება. დეე მუშათა მადლიანმა მარჯვენამ დაიცვას! ვაშა იმ მუშათა ჯგუფს, რომელმაც პირველად განახორციელა ეს ცხოვრების მომნიჭებელი ლოზუნგი!

ვაშა იმ „მუშათა შეიარაღებულ მილიციას“, რომელიც პირველი ჩანასახია „წითელი გვარდიის“, შემდეგ სახალხო გვარდიათ“ წოდებულის! ვინ არ იცის ამ შეიარაღებული რევოლიუციონური იდეიის საგმირო საქმენი! სახალხო გვარდიის ისტორია—ეს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ისტორიაა. სახალხო გვარდია—ეს ჩვენი დემოკრატიის თავგანწირულების. მისი მტკიცე ნებისყოფის ხორცშესხმულებაა!

ერთი დიდი პუბლიცისტი ახასიათებს მარათონის ბრძოლაში ათინის მოქალაქეთა მამაცობას, მათ თავგანწირულებას, როგორც უდიდეს ისტორიულ აქტს, რომელმაც იხსნა საბერძნეთი, ეს აკვანი ევროპის ცივილიზაციისა, აზიის ბარბაროსებისაგან. ჩვენი გვარდიის მოკლე ისტორიამ იცის მთელი რიგი ასეთი თავგანწირული ბრძოლისა, რითაც მან იხსნა ჩვენი ახალგაფურჩქნილი დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალი ასეთივე აზიელი ურდოების თავდასხმისაგან! ეგ ცოტაა. გვარდიის სამსახური ჩვენი სახელმწიფოს წინაშე არ გაისაზღვრება მარტო ამ მისი იშვიათი სიკეთით: უგვარდიოთ—მწამს მე ეს—ჩვენ ვერ შევქმნიდით ჩვენს მეორე საიმედო სამხედრო ძალას რეგულიარულ ჯარს! უჯაროთ კი თვით გვარდიაც, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია,—ესეც მწამს, ვერ შეირჩენდა თავის დამახასიათებელ თანდაყოლილ თვისებას—რევოლიუციონურ სულს.—ეს ორი ტოლნი, ეს ორი სწორნი, ერთი-მეორის მომადლე ძალები—აი ის შეურყეველი მტკიცე ბერკეტი, რაზედაც ეყრდნობა ჩვენი ხალხის ბედი, მისი აწმყო, მისი მომავალი იმედები!

გაუმარჯოს ამ ჩვენ საამაყო ძალებს—სახალხო გვარდიას და ახალგაზდა რეგულიარულ ჯარს!

**სილ. ჯიბლაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**პირველი მთავ. შტაბის პრეზიდიუმის წევრები**
1) მაისურაძე, 2) ვ. ჯუღელი, 3) ა. დგებუაძე.

## კ. კაუცკის აზრი სახალხო გვარდიაზე.

მე სასიქადულოთ მიმაჩნია ვიყო წევრი თქვენი ორგანიზაციისა. ეს იმიტომ, რომ მე ვიცი, თქვენი ორგანიზაცია, სახალხო გვარდია არის ერთი იმ ქვაკუთხედთაგანი, რომელსაც ეყრდნობა მთელი საქართველოს დემოკრატია. მე ვიცი, რომ თქვენ დაგიმტკიცებიათ თქვენი თავდადება იდეალებისადმი და დემოკრატიისადმი თქვენი სიცოცხლისა და სისხლის ფასით. მაგრამ, მიუხედავად თქვენი დამსახურებისა და მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენთ, არ ინებეთ გამოირჩევა სხვა მოქალაქეთაგან, არ მოითხოვეთ და არ მიითვისეთ პრივილეგიები. თქვენ ხართ თანასწორნი სხვა მოქალაქეებთან. ეს განსაკუთრებული თვისება დამახასიათებელია თქვენი ორგანიზაციისათვის.

მე ვიცი, რომ თქვენ სამხედრო საქმის გარეშე ცდილობთ გააკეთოთ მშვიდობიანი საქმე, მოიხმაროთ თქვენი ორგანიზაციული ძალა წარმოებისათვის, სახელდობრ სასოფლო მეურნეობაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე დაგიწყიათ და ის დიდ ინტერესს გამოიწვევს მთელი ქვეყნის სოციალისტთა შორის. შეძლება, ბევრმა იფიქროს, რომ ეს პარადოქსია: როგორ შეიძლება წარმოიდგინოთ, ერთი შეხედვით, რომ სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც სიცოცხლის და სიმდიდრის განადგურებას ეწევა, რომელიც გამსჭვალულია განადგურების მისწრაფებით,—როგორ შეიძლება, რომ ეს სამხედრო ორგანიზაცია ემსახუროს შრომის და წარმოების მიზნებს, მაგრამ ეს პარადოქსია მხოლოდ პირველი შეხედვით. ნამდვილათ კი თქვენი ორგანიზაცია, სახალხო გვარდია, არ წარმოადგენს ჯარს, ამ სიტყვის ჩვეულებრივის მნიშვნელობით. თქვენ მართლაც გაქვთ სამხედრო მიზნები, როგორც ყოველივე ჯარს; მაგრამ თქვენი სამხედრო მიზნები ეთანაბრება და ანალოგიურია იმ მიზნებისა, რომელსაც ემსახურება სოციალიზმი. თქვენ მიზნათ დაგისახავთ არა სხვაზე თავდასხმა, სხვისი ცხოვრების განადგურება, არამედ თავის დაცვა; თქვენი მიზანია თქვენი თანამემამულეთა სიცოცხლის დაცვა, ამასთანავე თქვენ მიზნათ ისახავთ წარმოების დაცვას, რასაც ემსახურება აგრეთვე სოციალიზმიც.

ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ომი დასრულდა, მაგრამ მშვიდობიანობა მაინც ვერ მიენიჭა ქვეყანას; შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საომარი მდგომარეობა ისევე არსებობს: მთელი მსოფლიო იმყოფება ფარულ საომარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობაში. თქვენ იცით, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდ გავლენიან ქვეყნებში მართვა-გამგეობა სოციალისტების ხელში იქნება, ან, ყოველ შემთხვევაში, სოციალისტურ პარტიებს, პროლეტარიატს ექნებათ საკმაო გავლენა თავიანთ მთავრობების პოლიტიკაზე, რომ აიძულონ ისინი ანგარიში გაუწიონ პროლეტარიატის მოთხოვნილებებს. ამასთანავე შესაძლებელი იქნება ნამდვილი მშვიდობიანობის დამყარება მაშინ, როდესაც ხალხთა ლიგა გახდება რეალურ ძალად და მიღწეული იქნება ინტერნაციონალის იდეალები. ხოლო სანამ ეს არ არის მიღწეული — სოციალისტური სახელმწიფოებიც საჭიროებენ შეიარაღებულ ძალას, ჯარს თავის დასაცავათ. მაგრამ სოციალისტური სახელმწიფო მით განსხვავდება სხვა „სახელმწიფოთაგან, რომ ის ცდილობს, რაც შეიძლება, ნაკლებად დაამძიმოს ჯარით ხალხი, რაც შეიძლება მეტი ეკონომია და ნაკლები სამხედრო ხარჯები გასწიოს. თქვენ შექმენით შეიარაღებული ძალა — სახალხო გვარდია, ხოლო გვარდიაში საწარმოო მრომის პრინციპის შემოღებით და გვარდიის გამოყენებით საწარმოო მიზნებისათვის თქვენ ცდილობთ ეს ეკონომია გაატაროთ პრაქტიკაში.

თუ საზოგადოებრივი მსხვილი წარმოება სასოფლო მეურნეობაში, რომლის მოწყობასაც აქ ფიქრობს ნახევრად სამხედრო პროლეტარული ორგანიზაცია, მომის უმაღლეს ნაყოფიერების მატარებელი აღმოჩნდა, მაშინ გლეხობა დაინახავს განსაზოგადოებრივებულ მსხვილ წარმოების უპირატესობას სასოფლო მეურნეობაში და ისარგებლებს თქვენი მაგალითით.

ამნაირად თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თქვენ მუშაობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო თქვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ მთელი ინტერნაციონალისათვის. ამ აზრით უნდა გაიმსჭვალოთ თქვენ.

და მე მგონია, რომ ნება მაქვს არა მარტო ჩემი სახელით არამედ მთელი ინტერნაციონალის სახელით მოგესალმოთ და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა და სრული გამარჯვება თქვენი მიზნების მიღწევაში.



ადერბეიჯანის ფრონტი. სანგრები.

# რევოლიუციის ამონაკვესი.

დღეს იგი არ არის მარტო ამონაკვესი, არამედ დიდ აგუზგუზებული ცეცხლი, რომლის წითელი ალი სწვავს დ დაგავს თვითეულის გულსა და სულს და აქეზებს მას საგ მირო საქმეებისათვის. შექმნილი დედა-ქალაქის მუშების მი ერ, შემდეგ შევსებული რესპუბლიკის გათვითცნობიერებულ ამხანაგებისაგან, გვარდია იქცა დღეს დიდ სახალხო და სა ხელმწიფო საქმედ. თავიდანვე მოწოდებული **შინაურ კონტრ** რევოლიუციურ ძალების შემუსვრისათვის, დღეს იგი იქც ჯართან ერთად, სალ-კლდეთ, რომელსაც ამაოთ ეხეთქებ **გარეშე** იმპერიალისტური ტალღები.

ვის შეუძლია წინასწარმეტყველოს, რა იქნებოდა დღეს ჩვენ რომ სახალხო გვარდია არ გვყოლოდა? მაგრამ წინას წარმეტყველი ხომ თითო-ოროლაა დასაშვები, გვარდიის ავან ჩავანი კი ყველამ ვიცით, ბავშმაც კი, დილა ადრიან ჩანთ აკიდებული სკოლაში რომ მიცელქობს.

ტყუილია ამის თქმა, თითქოს **იდეა** დიდ და დაუშრ ტელ ძალას არ წარმოადგენდეს. შეიარაღებული მასსა, თუ მას არ ასულდგმულებს მაღალი იდეა, უბრალო ბრბოა, ხშ რათ მხდალიც, საშიში, თუ გნებავთ ესეც რომ არ იყო აიღეთ შეიარაღებული სოციალისტი თვით ფრაზა „შეიარ ღებული სოციალისტი“ დიდი აბსურდია თავის თავათ: სო ციალიზმი და მკვლელობა! — და ომი ხომ მკვლელობაა ბო ლოს და ბოლოს. მაგრამ, როცა ომი მაღალ იდეისათვ ხდება, მაშინ მტრის განგმირვა, მისი ძლევა **გამართლებულ** ყოველგვარ მიწიერ, და თუ არ დაგიშლიათ, ზეციერ კ ნონით.

თავისუფალ სამშობლოს ერთგული გუშაგი სახალხ გვარდია იცავს არა მარტო ფორმას, არამედ შინაარსსაც არამარტო ნაციონალურ უზენაესობას, არამედ სოციალუ სამართლიანობასაც.

და ეს საფუძველია თვით ჩვენი სახელმწიფოებრივი არ სებობისა. დემოკრატიული, უაღრესათ ხალხოსნური წესწყ ბილება ყინულზე იქნებოდა დაწერილი, რომ ის მიჩნეულ ყოფილიყო თვით-მიზნად და არა **საშუალებად** სოციალუ გარდაქმნისა. ხალხის შვილს უნდა ასულდგმულებდეს იდეალ მხოლოდ მაშინ შესძლებს ის, თუ გარემოებამ მოითხ თავი შესწიროს საქვეყნო საქმეს.



ადერბეიჯანის ფრონტიდან. სანდარის მიმართულებით ცხენოსანთა რაზმის იერიში.

სახელმწიფო, გამოფიტული სოციალურათ, უმწეოა საერთაშორისო ასპარეზზე. ის ან თვითონ გახდება სხვისი ყმა, ან მოინდობებს სხვა იყმოს—ორსავე შემთხვევაში ხალხი, მშრომელი მასსა პირში ჩალა გამოვლებული რჩება.

აძიტომ ხალხი, მშრომელი მასსა, როცა ის თვითონ ხდება თავის თავის ბატონ-პატრონი, ესწრაფვის ეს პოლიტიკური გამარჯვება **მუდმივი** გახადოს, ხოლო მუდმივი მაშინ გახდება იგი, თუ მას ჩაეყარა **ეკონომიური** საძირკველი. ის სულ სხვა გეზს ატარებს საერთაშორისო პოლიტიკაშიც, სახელდობრ: სოლიდარობას და ურთიერთ პატივისცემას.

და ვინც ამ გეზს გადაუხვევს და შელახავს მას უფლებას, ხალხი ეკვეთება მას მთელის თავის ძალ-ღონით.

ეკვეთება და კიდეც **გაიმარჯვებს**, ვინაიდან სიმართლე მის მხარეზეა, აღტყინებულია კეთილ მობილური გრძნობით... ვინაიდან ძისი დროშა სპეტაკია, ვითა მზე.

ყოველი შეიარაღებული ძალა, თუ ის მართლა ორგანიულად არის შეკავშირებული, ეყრდნობა მის კადრებს. კადრები, ეს ნამდვილი ხერხემალია, უამისოთ გვარდია არ იქნებოდა ის, რაც არის.

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ გვარდია უნაკლულოა, ამისათვის ის ერთობ მრავალ-რიცხვოვანია, მაგრამ ძისი ხერხემალი დღესაც იგივეა, რაც წინეთ: **შეგნებული ქართველი მუშა.**

სახალხო გვარდია მუშათა კლასის უბიდან გამოიჩეკა, აი რა ჰქმნის მის ნამდვილ სახეობას, აი რაა თავდები მისი სისაღისა და სიდიადისა.

მაშ რევოლიუციის ამონაკვესი უბრალო სიტყვის მასალა როდია, არამედ თვით არსება, დასაბამი, საიდანაც იწყება და რომლითაც ვიხსენებთ ჩვენი გვარდიის დაბადების დღეს.

**აკ. ჩხენკელი.**



ძმათა სასაფლაო ტფილისში.

# საქართველო

სადაც ტყეების ისმოდა დარდი
და მწუხარება რეკავდა ჩუძი—
საქართველოს გაჩნდა შტანდარტი:
მოდის ტფილისი, მოდის ბათუმი.
უცებ მიწისძვრით დაქანდა გორი
თამარის წმინდა ცრემლით სოველი
და სიმაღლეთა ქორივით შორი
მტკვარში ჩაეშვა სვეტიცხოველი.

მიდის გვარდია, ჯარი... კვლავ ომი!
ცვალებადია დღეთა ტრიალი,
კართან დარაჯად გაყინდა ლომი
კავკასიონი და დარიალი.
აქ კი, სარკეზე, როდესაც ძილით
გაფითრებული იყო ყოველი—
ცურავდა ღამის მთვარეულ ლილით
გამუქებული სვეტიცხოველი.

წინა-აზია, შემდეგ ევროპა
გზაჯვარედინთა იყო რკალები
შავზღვაზე ხავთა დაუდევრობა,
ფრთები, ტალღები და გრიგალები
აქ კი, ბრწყინვალე და ახთებული
სასანთლეების წყალზე მთოველი,
ზვირთებზე ოცხავ დალახდებული
ემურებოდა სვეტიცხოველი.

სხვა დავაფუძიეთ ხაპირად ფაზი
იქ ნავთსადგური იყო ნაგები;
იქ ერთდებოდა რკინისგზის ხაზი
და დაქსელილი ლიანდაგები.
აქ კი, მოსილნი იდგენ ძაძანი
ნათლით ელავდა მათი ქსოვილი.
ყვაოდა ლურჯი იასამანით
შემობურული სვეტიცხოველი.

დავტვირთეთ გზები სპილენძით, ვერცხლით
ახალ პაროლებს გაყვა მხლებლები,
და თავრიზამდე მიმავალ ცეცხლით
ჰქროდენ კივილით მატარებლები.
და აქ კი, ქართლზე ვედრებდა ჯვარი
იმისი დახსნის ლოცვით მთხოველი,
და ლიტურგიებს ისმენდა მტკვარი
და გუგუნებდა სვეტიცხოველი

7. XII. 20. **გალაკტიონ ტაბიძე.**

# მიყვარს მე ცქერა ამ ორი ვარდის

წითელი დროშა და გვარდიელი
ერთი მეორის არის ხატება;
ისე შვენიან, ვით ვარდის ველი,
ყელზე რომ ნამი მოებანტება!

მიყვარს მე ცქერა ამ ორი ვარდის,
სადარაჯოზე როცა იშლება...
და ჩემი ფიქრიც მათ ფიქრთან დადის
და განცდის ცეცხლით სული ინთება!

**გ. რუხაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო გვარდიას.

დაირაზმენით!
დროშების ფრენით
შემოევლენით
სამშობლოს რკალად!

შიშველი ხმლებით,
თოფის ხიშტებით
აღიმართენით
მტრის წინ კლდე-სალად!

დაჰკარით ბუკი!
ყველა ჭაბუკი
აღზდ.ეს,
აზავთდეს,
შეიარაღდეს!
და თუ არ აგვცდეს,
ომი გაჩაღდეს,—
დაეცხოს მტერი,

რომ არ გალაღდეს!
თამამად ძმებო,
ხალხის გმირებო,
თაქამად გასწით სისხლის საღვრელად!

დარწმუნდეს მტერი,
რომ მთელი ერი
მზად არის თვისი ქვეყნის სახსნელად!

4 დეკემბერი.
1920 წ.

**გ. ქუჩიშვილი.**

---

# ორნაირი იარაღი.

სახალხო გვარდიის დღე—ეს მთელი საქართველოს დღესასწაულია. სახალხო გვარდია—ეს არის სისხლი და ხორცი ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი დემოკრატიის; სახალხო გვარდია—ეს ის იარაღია, რომლითაც ჩვენმა ახალგაზრდა რესპუბლიკამ შეინახა ქარცეცხლში გატარებული დამოუკიდებლობა; ეს ის იარაღია, რომლითაც შეიქმნა გმირული ხანა ჩვენი ისტორიისა.

როგორც სჩანს, ჯერ კიდევ არ გათავებულა ეს ხანა. ჯერ კიდევ დიდი და მძიმე გზა გვაქვს გასავლელი, სანამდის ჩავდგებოდეთ მშვიდობიანი განვითარების პირობებში. მეტის მეტათ გართულებულია თანამედროვე მომენტი. გარეთ, საზღვრებს იქით არ გვყავს არც ერთი მეგობარი. არც ერთი სანდო მეზობელი, ჩვენს კარებზე დგანან ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. მზათ არიან ისარგებლონ რომელიმე შემთხვევით და შეაბრუნონ ჩვენი ისტორია იმ წარსულისკენ, როცა საქართველო ცხოვრობდა სხვისი ნებით, სვის უღელ ქვეშ.

არც ერთ დროს არ ახსოვს ისეთი განმარტოებული ერი, როგორიც ჩვენ ვიყავით ამ უკანასკნელ წლებში და ვართ დღეს. ვერავინ ვერ აიტანდა ამისთანა მარტოობას. საქართველომ აიტანა და, სრული იმედი გვაქვს, ბოლომდის, გადაიტანს. ამის იმედს იძლევა მისი შინაგანი სიმტკიცე, მისი შესანიშნავი ერთსულოვნება.

ეს არ გვექნებოდა, რომ აქ არ ყოფილიყო დემოკრატიული წესწყობილება, რომ აქ თითონ ხალხი არ ჩადგომოდა სათავეში თავის საქმეებს. ჩვენ [illegible], როგორ დაეცა ჯერ ადერბეიჯანი, მერე სომხეთი. ორივეგან მართავდა ისეთი პარტია, რომელიც სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მშრომელი ხალხის ინტერესებს. ხალხი იქ ამიტომ ეძებდა გამოსავალს და ვერ ნახულობდა შინაურ ფარგლებში. ადერბეიჯანის ხალხს არ მოსწონდა მუსავატის მთავრობა, მაგრამ არ შეეძლო თითონ აეღო ხელში მართვა-გამგეობა. სომხეთის ხალხს ჭირივით სძულდა დაშნაკელების ბატონობა, მაგრამ ძალა არ შესწევდა მისი ადგილი დაეჭირა. ორივეგან, მეტი გზა არ ქონდათ, მიიღეს გარეშე ძალის მფარველობა, შემოუშვეს საბჭოთა რუსეთის ჯარი.

ეს დაპყრობაა. ნებაყოფლობით დაიპყრობინეს თავი, ვეღარ შეინახეს დამოუკიდებლობა. ცალკე სახელმწიფო მარტო სახელათ შერჩებათ, ნამდვილათ რუსეთის ნაწილათ, რუსეთის კუთხეთ გადაიქცევიან.

„წითელ" ჩრდილოეთს იმედი აქვს, რომ აქაც ასე ადვილათ ააფრიალებს თავის დროშას. სომხეთის დაშნაკელებს, ადერბეიჯანის მუსავატს და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ის ერთნაირათ აფასებდა. მუშებს და გლეხებს არც ერთი არ უნდათო, ამბობდენ. იქ გაუმართლდათ ეს დაფასება. უნდათ, რომ აქაც გაუმართლდეთ. არც აქვთ ეჭვი, რომ გაუმართლდებათ. ხალხი გამოვა თითონ და მოგვიწვევს,—მოდით და გადაგვარჩინეთ, დაგვიხსენით ამ ბურჟუაზიული მთავრობისაგან,—ასე ოცნებობენ „სოციალისტური" რუსეთის მოციქულები.

აქამდის არსად არ გამტყუნებიათ ოცნება ისე, როგორც გაუმტყუნდათ საქართველოში. აქაურ მუშა-გლეხობას არ გამოუჩენია დღემდის არავითარი სურვილი მათ სასარგებლოთ. ავათ არის თუ კარგათ, ის უვლის თავის თავს და გარედან შემწეობას არ მოითხოვს. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისია ყოფილი რუსეთის თითქმის ყველა განაპირა კუთხეებში. ზოგიერთ სხვა ამისთანა კუთხეებს დამოუკიდებლობა ელირსათ ევროპის პირდაპირი დახმარებით, ჩვენ ეს გველირსა სხვის დაუხმარებლათ, ჩვენივე ძალებით.

ორნაირათ ვიჩენდით და ახლაც ვიჩენთ ამ ძალებს. ერთია იარაღი კრიტიკის საშუალებით, მეორეა კრიტიკა იარაღის საშუალებით.

ეს ორპირიანი იარაღი ჩვენ ნაანდერძევი გვაქვს საერთაშორისო მუშათა კლასის დიდი მასწავლებლებისაგან—მარქსისაგან და ენგელსისგან. ენგელსი, რომლის დაბადებიდანაც ამ დღეებში ასი წელიწადი შესრულდა, იყო არა მარტო მეცნიერი, იყო თავთავის დროზე ნამდვილი ჯარის კაციც, იბრძოდა ხოლმე მოწინავე პოზიციებზე. ისიც და მარქსიც ჯერ კრიტიკულათ არჩევდენ ძველ წესწყობილებას, კრიტიკის საშუალებით ნათლათ ხდიდენ იმის უვარგისობას, ქმნიდენ უმრავლესობის აზრს და შეგნებას ამ წესწყობილების წინაალმდეგ. მერე ამ შეგნებულ უმრავლესობას ხელში აძლევდენ რკინის იარაღს იმ ჯგუფების ნიშანში ამოსაღებათ, რომლებიც ინდომებდენ ახალი აშენებლობის შეფერხებას, წინ გადაღობებას. ნამდვილი რევოლიუცია ყოველგან და ყოველთვის ასრულებს ამ ანდერძს. ის ცდილობს სიტყვით დაარწმუნოს მშრომელი ხალხი, რომ მისთვის მიუღებელია ესა თუ ის პირობები, ის ჯერ კრიტიკით ანადგურებს ამ პირობებს, მერე გამოდის მათ დასამსხვრევათ თოფ-ზარბაზნების საშუალებით.

საბჭოთა რუსეთის რევოლიუციამ გადაუხვია ამ ნამდვილ რევოლიციონურ გზას. იქ, კარგი ხანია აღარ არსებობს ბრძოლა კრიტიკით. სიტყვით, კალმით აქ არავის არაფერს არ აცებინებენ. იბრძვიან მარტო რკინის იარაღით, ტყვია-წამლით. იქაურ წითელ რაზმს არ აქვს შეგნებული, ვის ებრძვის, რისთვის ებრძვის. თოფით იწყება და თავდება მისი შეგნება. საბჭოთა რუსეთი ცალმხრივია ბრძოლაში. კრიტიკას ის აღარ ხმარობს იარაღათ. იარაღს ხმარობს კრიტიკათ. ზარბაზნებით უნდა დაარწმუნოს ყველა, რომ ეს წესწყობილება არ ვარგა, და ის უკეთესია.

დემოკრატიულ საქართველოს არ გამოუჩენია ამისთანა ცალმხრივობა. ის შეგნებითაც იბრძოდა და ხმლითაც. არ ყოფილა ისეთი წუთი რევოლიუციის ისტორიაში, რომ მის საბრძოლველ იარაღს დაჩლუნგებოდეს ერთ-ერთი პირი. ორივე პირზე ერთნაირათ ილესებოდა ყოველთვის. აქ მუშათა კლასმა იცოდა, ვის წინააღმდეგ უნდა გამოელაშქრა ხოლმე და რისი გულისთვის. სახალხო გვარდია იყო მისი შეგნების გამომხატველი.

სახალხო გვარდია არ მოშორებია აქ მშრომელ ხალხს, მშრომელი ხალხი არ მოშორებია სახალხო გვარდიას. ამაშია ძლიერება ერთისაც და მეორესიც. აქ კრიტიკასაც ვხმარობთ იარაღათ და იარაღსაც ვხმარობთ კრიტიკათ. მუშათა კლასი კრიტიკულათ უყურებს ჩვენს საზღვრებთან მომდგარ გარეშე ძალებს. აგებინებს ყველას, ვისაც არ აქვს გაგებული, რომ საქართველოსთვის დაღუპვა იქნება ამ ძალების აქ შემოსვლა. მაგრამ ისტორიული საქმე არ კეთდება მარტო გაგებით. შე ძლება მაინც მოინახონ ისეთები, რომლებმაც ხელი გაიშვირონ იქითკენ.. შეიძლება მოინდომონ იქიდან შემოსვლა, როგორც შევიდენ ადერბეიჯანში და სომხეთში. აქ მზათ უნდა იყოს ის ძალა, რომელიც რკინის იარაღით შეაგნებინებს შეუგნებელს.

მუშათა კლასი იარაზმება შემეცნებით, სახალხო გვარდია — ცეცხლით და მახვილით. მუშათა კლასი და სახალხო გვარდია — ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს მარჯვენა და მარცხენა მკლავი. არც ერთ მკლავს არ დაჰკარგავს ის ბრძოლაში. არ დასახიჩრდება ისე, რომ მოეკლოს სიცოცხლის, წინმსვლელობის უნარი. ან სახელოვნათ მოკვდება, ან სახელოვნათ იცოცხლებს..

სახალხო გვარდია იქნება მისი წინამძღოლი ორივე შემთხვევაში. ის ამ წინამძღოლობით აკეთებს არა მარტო საქართველოს საქმეს. ის დღეს იქცევს ყველა მოწინავე და ჩამორჩენილი ქვეყნების ყურადღებას. გაიმარჯვებს თუ დამარცხდება ეს ძალა ახლანდელ ბრძოლაში, ამაზეა დამოკიდებული შორეული მუშათა კლასის ბედ-იღბალიც.

ჩვენი სახალხო გვარდია შავი ღრუბელია საერთაშორისო რეაქციისთვის და გზის სხივია საერთოშორისო დემოკრატიისთვის.

სახალხო გვარდიის დღესასწაულს აქვს ამიტომ საერო და საკაცობრიო მნიშვნელობაც.

**ს. დევდარიანი.**



**გაგრის ფრონტიდან.**

# რესპუბლიკის დიდი დღე.

თორმეტი დეკემბერი უდიდესი დღეა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ახალ ისტორიაში. საქართველოს დემოკრატია, მთელი ქართველი ერი, მუდამ იამაყებს ამ დღით და როდესაც ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგება და დღიურ ლუკმაზე ზრუნვა აღარ იქნება თავსამტვრევი და საჭირბოროტო საკითხი — ეს დღე გადიქცევა დიდ ეროვნულ დღესასწაულათ.

ეს დღესასწაული არის ამავე დროს დღეობა ჩვენი მუშა ხალხისა. თორმეტი დეკემბერი ეკუთვნის მას, მისი გათენებულია.

თორმეტი დეკემბერი სახალხო გვარდიის დღეა, სახალხო გვარდია ხომ იგივე მუშა ხალხია.

სახალხო გვარდია ნაყოფია ჩვენი მუშა ხალხის სიმწიფისა, სიბრძნისა, ქვეყნის სიყვარულისა, სარევოლიუციო სულისა და თავგანწირვისა.

და დღეს ბრძოლის ველზე რო სდგას
მაშვრალთ გულმხნე ჯარი,
თავისუფალ საქართველოს,
ვით ფოლადის ფარი,
სდარაჯობს და თავს ევლება,
მტრებს რომ არ უდრკება,—
წრფელი სულით, წრფელის გულით
სალამი, დიდება!

სახალხო გვარდიამ დაიმსახურა ერის სალამიც, და დღებაც მით, რომ

მან დაიცვა თვისი ერი
და თვისი ქვეყანა.

მან დაიცვა რევოლუცია, თავისუფლება და რესპუბლიკა.

ეს იყო დიდი, საძვირფასო საქმე, რომ უკვდავების გვირგვინს აძლევს მის შემსრულებელს.

სახალხო გვარდიას ეს გვირგვინი თავს დაადგა ჩვენმა ახალმა ისტორიამ და მისი ხსენება და სახელი უკვდავი იქნება საუკუნოდ.

გასკდილი საფრონტე, უბედურება და განსაცდელი ფერსა ჰკარგავს, დროთა ვითარებაა თითქოს შლის მის სახეზე საშინელ ნაზეს.

ასეა ახლაც, თორემ ვინ არ იცის, რა საშიშელი დღეები გამოვიარეთ იქვე თითქმის დეკემბრამდე.

რევოლუციის მერყეობაც რუსეთი იყო ერთი მძლიავი ფრონტი. ჩვენ იქედი გვქონდა რუსეთის დემოკრატიისა და ბუნდოვანი ციკავით.

ბოლშევიკები სახელმწიფო ხელის-უფლება აიღეს; ფრონტი დაირღვა, დემოკრატია დაიქაქსა, რუსეთი დაიძალა. დავრჩით უფეროდ, უიარაღოდ, საკუთარი თავის ამარად.

ფრონტიდან დაძრული ჯარი ტფილისის ალყებას—ჰლამობდა; აქვე დაბანაკებული ჯარი ოცი ათას კაცამდე დღე, დღეზე გამოსვლას აპირებდა ქალაქის დასარბევათ.

მძლავრი ძალები, ქურდები, დამცემები, ყაჩაღები წამოყვეს თავი და მათი თარეში ცეცხლის ალივით ედებოდა ქვეყანას.

— რა გადაგვარჩენს, ვინ გადაგვარჩენს? ვეკითხებოდით ჩვენს თავს.

— ტფილისის მუშები! გვეუბნებოდა გული, მაგრამ გაბედულად ვერა: რა უნდა ექნათ უიარაღო მუშებს, როდესაც მარტო ტფილისში ოცი ათასი ჯარის კაცი იყო სულ ყველა დარაჯად—აწიოკების გუნებაზე, ბოლოს ფრონტიდან კი დევ საშინელი ტალღა მოდიოდა ჩვენს წინააღმდეგ.

— სასწაული გვიხსნის, სასწაული! ვფიქრობდით.

მართლაც სასწაულმა გვიხსნა, სასწაული მოხდა:

ორას ორმოცდაათმა შეიარაღებულმა მუშამ გაჰბედა და თავს დაესხა არსენალს, რომელსაც ოცი ათასი ჯარის კაცი სდარაჯობდა.

ეს იყო ნამდვილი სიგიჟე გმირისა.

ეს იყო თავდავიწყებული გატაცება ქვეყნის ხსნის სურვილით.

ერთ წამსაც რომ ჩაფიქრებულიყვნენ ჩვენი გმირი მუშები, თუ რა ნაბიჯს დგამდნენ, თვითონ შეეშინდებოდათ თვისი განზრახვისა, იმდენათ განუხორციელებელი სჩანდა მათი განზრახვა.

მაგრამ ქვეყნის სიყვარულმა, სარევოლუციო გატაცებამ ყოველგვარი მოსაზრება სძლიეს და ჩვენმა დედა-გმირებმა გაიმარჯვეს.

ეს გამარჯვება იმდენათ საარაკო, წარმოუდგენელი იყო, რომ ოცი ათასი ჯარის-კაცი შედრკა, შეშინდა და თავზარდაცემულმა უკან დაიხია ორასი კაცის წინაშე.

ეს იყო ნამდვილი სასწაული და ამ სასწაულმა იხსნა მთელი საქართველო განადგურებისაგან, ამ სასწაულმა შვა ჩვენი რესპუბლიკა.

ჩვენში არ აღმოჩნდა სხვა კლასი, რომელსაც უდიდესი განსაცდელისა და საშიშროების დროს გამოეჩინა თავგანწირულება და თავს ედვა ქვეყნის გადარჩენა სრული განადგურებისაგან.

ასეთი კლასი იყო მხოლოდ მუშათა კლასი.

ჩვენი რესპუბლიკა მისი გადარჩენილია, რესპუბლიკა იმისია და ცხადია, მას სრული უფლება აქვს, რესპუბლიკა ისე მოაწყოს, როგორც მუშახალხის მდგომარეობას, კეთილდღეობას, აწმყოს და, მომავალს შეეფერება.

ეს უფლება მან მოიპოვა თავისი შეგნებით, სიმწიფით, თავგანწირვით, გმირული ბრძოლით და სისხლით.

თორმეტი დეკემბრიდან იწყება მუშათა კლასის ფართო შეიარაღება და ჩნდება დიდი სახალხო გვარდია.

როგორც მოვიხსენიეთ, სულის ჩამდგმელი ამ გვარდიისა, მისი გული იყო ტფილისის პროლეტარიატი.

ამ გულის გარეშემო თანდათან თავი მოიყარეს იმ წოდებმა, რომელთა ბედიღბალი მჭიდროდ არის შეკავშირებული პროლეტარიატის ბედთან. ესენი არიან სოფლის მუშები— გლეხობა და დაბა-ქალაქების წვრილი ხელოსნები.

დღეს სახალხო გვარდია დიდ და მძლავრ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენს. ძველ ფორმებს ის გასცილდა და საუცხოვოთ მოწყობილ ჯარს მოგაგონებსთ, მაგრამ სახალხო გვარდია არ არის ჯარი, ჯარისკაცი მოწყვეტილია თავის საქმეს, თავის ხელობას და მისი ერთად-ერთი საქმე—თოფია.

გვარდიელი კი ერთ და იმავე დროს ჯარისკაციც არის და თავისი საქმის, თავის ხელობის კაციც: გაჩნდება საფრთხე — თოფს მოჰკიდებს ხელს და დადგება რესპუბლიკის დასაცავათ. გაივლის საფრთხე, თოფს მიაყუდებს და დაუბრუნდება თოხ-ხამგალს ან ჩაქუჩს.

გვარდიელი არის შეიარაღებული მუშა, შეიარაღებული ხელოსანი. შეიარაღებული იმიტომ არის, რომ გარეშემო მტრები ახვევია და თავდაცვა ესაჭიროება.

იარაღი მხოლოდ თავდაცვისათვის—აი თვისება გვარდიელისა.

საომარი და სამუშაო იარაღის შეთვისება, შეთანხმება— აი თვისება გვარდიელისა.

ახლო მომავალში მთელი საქართველო უნდა წარმოადგენდეს სახალხო გვარდიას.

სახალხო მილიცია და სახალხო გვარდია ერთი და იგივეა.

თავდაპირველათ მხოლოდ რამოდენიმე ასი მუშა წარმოადგენდა ამ გვარდიას, წითელ გვარდიას.

ის გაიზარდა, გაფართოვდა და გადიქცა სახალხო გვარდიათ. ბოლოს მთელი რესპუბლიკა უნდა გახდეს სახალხო გვარდიათ: ყველა უნდა ვიყოთ შეიარაღებული ქვეყნის დასაცავათ; ყველამ უნდა შევისწავლოთ, ომის, ბრძოლისა და თავდაცვის წესები; ამავე დროს ყველა უნდა ვაკეთებდეთ ჩვენ-ჩვენს საქმეს.

სხვანაირათ ჩვენისთანა პატარა რესპუბლიკას არსებობა არ შეუძლია. ყოველი ჯგუფის ზრდას თან დასდევს ერთი ნაკლი.

ავიღოთ ძველი-ძველი ქრისტიანობა მოციქულთა დროისა. ქრისტეს მიმდევრები მაშინ წარმოადგენდენ პატარა ჯგუფს და ზნეობრივი დისციპლინით იყვენ შებოჭილი.

თავგანწირვა, საქმისათვის თავის დადება, ზნეობრივი სისპეტაკე საერთო თვისება იყო ყველასი. ყველა ერთი მეორეს იცნობდა, ერთი მეორეს ამხნევებდა და აფრთხილებდა.

როდესაც პატარა ჯგუფი თანდათან გაიზარდა, გავლენა მოიპოვა მასში, თანდათან შეიპარა არა რწმენისა და ზნეობრივი სისპეტაკის ხალხი, არამედ ანგარიშის, პირადი გამორჩენისა.

გვარდიის პირველი ჩანასახი, მისი გული თავგანწირვით და ზნეობრივი სისპეტაკით იყო მაგარი. გვარდიას ზრდასთან ერთათ უნდა შერჩეს ეს სულის სიმტკიცე და ზნეობრივი სისპეტაკე.

გვარდიის ძალა და გავლენა დღეს ისეთია, რომ ის დიდძალ ხალხს იზიდავს.

გვარდიის ხელმძღვანელთა მთელი ყურადღება იქითკენ უნდა იქნეს მიქცეული, რომ გვარდიის ზნეობრივი სისპეტაკის გვირგვინს არსაიდან არავითარი ლაქა არ მოეცხოს.

ულირსი თუ ვინმე შამოიპარება, სასტიკი გაწმენდა.

გვარდია მარტო იარაღით არ იმარჯვებდა.

არა, გვარდიის იარაღი უძლეველი იყო იმიტომ რომ იარაღთან ერთათ მტერს ებრძოდა გვარდიის სულიერი სიმტკიცე და ზნეობრივი სისპეტაკე.

დღევანდელ დღეს მე ვუსურვებდი ჩვენს სახელოვან გვარდიას, რომ ხილულ იარაღთან ერთათ მას მტკიცეთ დაეცვას და შეენარჩუნებიოს ეს უხილავი იარაღიც.

სალამი გმირებს!

ქება და დიდება სახალხო გვარდიას!

**ივ. გომართელი.**

---

# გვარდია და მილიცია.

საზოგადოების ისტორიულ განვითარებაში იქმნებოდა მრავალნაირი სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურებოდა თავდაცვის საქმეს. სხვადასხვაობა ამ ორგანიზაციისა დამოკიდებული და მჭიდროდ შეკავშირებული იყო ამა თუ იმ საზოგადოების სოციალურ პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

ისტორიამ იცის სამი უმთავრესი ნიმუში სამხედრო ორგანიზაციისა, ფეოდალური, როდესაც არსებობდა ნახევრად რეგულიარული ჯარი, უმთავრესად თავად-აზნაურებისგან შემდგარი. ელფერს ამ ჯარს აძლევდა ეგრედ წოდებული რაინდები. ისინი მუდამ იარაღით დადიოდენ და მის ვარჯიშობას უდიდეს დროს ანდომებდენ. არამცა თუ გლეხობა, არამედ ქალაქებში მცხოვრები საშუალო კლასები მოკლებული იყვნენ საშუალებას თავიანთი სულიერი განცდა და ერთნაირი შეხედულება შეეტანათ ჯარის ორგანიზაციაში. ამ კლასებს თითქმის არაფერი პოლიტიკური უფლებები არ ქონდათ, არ ქონდათ ამავე დროს სრულს მათ განკარგულებაში იარაღი უფლებების დასაცავად, ან მის მოსაპობებლად.

მეორე ნიმუში ჯარის ორგანიზაციის არის თანამედროვე რეგულიარული ჯარი. თანამედროვე სამხედრო ორგანიზაციის უმთავრესი თვისება სოციალურის მხრით არის ის, რომ ასეთი სისტემის დროს მთელი ხალხი მოწვეულია სამხედრო სამსახურისთვის. მეორე მხრივ ასეთ წყობილების დროს ჯარში გაწვეული ახალგაზდობა განსაზღვრულ დროს იმყოფება ყაზარმებში და ეს დრო ყველა სახელმწიფოებში უფრო მეტია, ვიდრე ეს ნამდვილად საჭირია ახალგაზდობას სამხედრო საქმის შესასწავლად. ჯარი ამ შემთახვევაში, ყაზარმებში მოქცეული, განცალკევებული ხალხიდან, აქვს საკუთარი ფსიხოლოგია, იქმნება და ვითარდება კასტიური სული და ის ადვილად ხდება კლასობრივ იარაღათ გაბატონებულ წრეების ხელში. ეს სისტემა შექნა ბურჟუაზიამ და ის ამ სისტემას პრინციპიალურად იცავს.

მესამე ნიმუშს გვაძლევს შვეიცარია თავისი საუცხოვოდ მოწყობილ სამხედრო ძალებით სახალხო მილიციის სახით. ამ სისტემის ჩანასახი სჩანს საშუალო საუკუნოებში. როდესაც შვეიცარიის გლეხები აუმხედრდა ავსტრიის ფეოდალებს და დაამარცხა თავად-აზნაურების შეიარაღებული ძალა—ეს იყო პირველი მაგალითი შეიარაღებულ გლეხობის მიერ რაინდების დამარცხებისა და იმავე დროს დემოკრატიული შეიარაღებული ორგანიზაციის ჩანასახის შექმნისა. მილიციის სისტემა იმით არის საინტერესო, რომ ასეთ ორგანიზაციის დროს მოქალაქენი ხანგრძლივად არ შორდებიან სამხედრო საქმის შესწავლის დროს თავის ჩვეულებრივ საქმიანობას და ამით თამედროვე სამოქალაქო ცხოვრების გარეშე არ იმყოფებიან. ჯარის კაცი ასეთ შემთხვევაში ნამდვილი მოქალაქედ რჩება.

სწორედ ასეთი ჩანასახია ითელი ხალხის შეიარაღების ჩვენი სახალხო გვარდია. თავისი სამი წლის არსებობით მან მოუპოვა სრული მატერიალური და მორალური საფუძკლი ამ უდიდეს რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. სახალხო მილიციის ცხოვრებაში გატარებისთვის ნახევარად მეტი საქმე გაკეთებულია. მისი მომხრეები მხოლოდ უნდა უცდიდენ შეაფერ ნორმალურ პირობებს, რომ ეს დემოკრატიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხი შესაფერად გადაწყვეტილ იქნეს.

**ბ. თეკლათელი.**

---

# 12 დეკემბერი 1920 წ.

მიმდინარე წელში გვარდიამ ჩვეულებრივათ გაიღო დიდი მსხვერპლი.

შარშან კიდევ, 12 დეკემბერს, ნაწილი გვარდიისა აცხრობდა აჯანყებას გორის მაზრაში და ოსეთში. იანვრიდან მიმდინარე წლისა გვარდია თითქმის განუწყვეტლივ იარაღით ხელში ასრულებდა თავის მოვალეობას. მარტში მას მოუხდა ბათუმის მიმართულებით რამოდენიმე ხნით დიდი სამზადისის გაწევა და ზოგიერთ ადგილას ბრძოლაც. თუ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებს არ ქონდა ფართო ხასიათი და გვარდიას არ დასჭირებია დიდი ძალის მოხმარა, სამაგიეროთ აპრილში, მაისში და ივნისში მას მოუხდა მრავალრიცხოვან მტერთან მართლაც დიდი და სასტიკი ბრძოლის წარმოება. აზერბეიჯანის ფრონტი იყო დიდ-მნიშვნელოვანი არა მარტო თავის საერთო მნიშვნელობით, არამედ რიცხვით იმ მსხვერპლისა, რომელიც გაიღო გვარდიამ ამ ფრონტზე. დაიჭრა ერთი თვის განმავლობაში აზერბეიჯანის ფრონტზე 252 გვარდიელი. დაავათმყოფდა 439, მოკლულ იქნა—37. მოკვდა მძიმე ჭრილობისგან საავათმყოფოში 16. ტყვეთ წაყვანილ იქნა 65.

ბრძოლის ველზე დახოცილთა რიცხვს უნდა მოემატოს სხვადასხვა ავათმყოფობისაგან საავათმყოფოში გარდაცვლილი 86 გვარდიელი. ივნისში ოსეთის ფრონტზე დაიჭრა 27, მოკლულ იქნა 4, დაავათმყოფდა 251. ეს ციფრები არის დაახლოვებით მჩვენებელი გვარდიის მსხვერპლისა ბრძოლის ველზე. აქვე უნდა ითქვას, რომ გვარდიას ქონდა ერთი დიდი სამეურნეო ფრონტი ყარაიაზში. ყარაიაზში მუშაობა არ შეწყვეტილა მთელი წლის განმავლობაში და უნდა ითქვას, რომ ყარაიაზმა იმსხვერპლა ასობით ციების ძლიერის ფორმით შეპყრობილი და დასუსტებული მომუშავე. მალარია

ძლიერ მძვინარებდა ყარაიაზში განსაკუთრებით აგვისტოში, როცა იქ იყო ათასობით მუშა. თითქმის 80% მომუშავეთა გახდა ავათ მალარიით. მნიშვნელობა ამ რაიონში ფართო მეურნეობისა ჯერ კიდევ ვერ არის დაფასებული, მაგრამ აქ მეურნეობას რომ დიდი მომავალი აქვს ეს ნათელია. შეგნებულად გვარდიამ გაიღო აქაც დიდი მსხვერპლი რესპუბლიკის ბედნიერ მომავლისათვის. ფართო მაშტაბით შეუდგა მოსარწყავ თხრილების გაყვანას, ტბების ამოშრობას და აგრეთვე მალარიასთან ბრძოლას. ოსეთ-აზერბეიჯანის ფრონტის შემდეგ—გარეშე ფრონტებზე შედარებითი სიწყნარე იყო. მაგრამ ოქტომბრის დამლევში ჩნდება კიდევ ფრონტი, რომელსაც ჯერაც ბოლო არ უჩანს. მთელი მიმდინარე წლის განმავლობაში გვარდიაში იყო მწოლარე (სტაციონარული) 2505 ავათმყოფი. ამბულატორიული დახმარება მიიღო 53000 გვარდიელმა. მოკვდა საავათმყოფოში და ბრძოლის ველზე სულ 127 გვარდიელი. გაირიცხა გვარდიიდან, როგორც დასახიჩრებული უვარგისნი—142. შეღავათი ავათმყოფობისა და ჭრილობის გამო 1070 გვარდიელს, თუ გასული წლების მსხვერპლს გვარდიისას გავიხსენებთ—სულ ყველა ეს ციფრები ერთი ორათ უნდა გავამრავლოთ.

ყოველწლიურად გვარდია იძლევა მსხვერპლს ქვეყნის საბედნიეროდ. დიდება გვარდიის ორგანიზაცია.

დიდდება მისი მოვალეობაც.

იზრდება ძმათა სასაფლაოები.

სრული რწმენა გვაქვს, რომ მომავალშიაც გვარდია დარჩება შეუდრეკელ კედლად ჩვენს გარსშემორტყმულ პატარა ქვეყნისთვის. დიად მიზნისთვის მან ბევრი გასწირა წარსულში და არ მოერიდება მსხვერპლს მომავალშიაც, მანამდე, სანამ არ დამყარდება მთელს ქვეყანაში ბედნიერება—სოციალიზმი.

ექიმი **ი. ცინცაძე.**

---

# სახ. გვარდიის საგანგებო ბათალიონი

**(მოგონებები).**

რევოლიუციონურმა ქარეტეხილმა და ოქტომბრის გადატრიალებამ ჩვენი ქვეყანა განსაცდელში ჩააგდო და ამ ხნიდან იწყება ჩვენი გამოსვლა ჩვენი ძალებით, ჩვენი იარაღით.

არსენალის აღება, ეს იყო დასაწყისი ნამდვილი ბრძოლისა და დაცვა დიდი რევოლიუციის მიერ დატოვებულ უფლებებისა. ის იყო სიგნალი ჩვენი მუშებისა სიტყვიდან ბრძოლაზე გადასასვლელად. ჩვენში ადვილად დამარცხდა ბოლშევიკური სენით შეყრობილი ჯარისკაცები. საქართველოს სხვადასხვა კუთხებით დაიწყო აჯანყებები. ქვეყნის განსაცდელისაგან ხსნა შესაძლებელი იყო მხოლოდ შეგნებული გლეხების და მუშების შეიარაღებით.

რ. ს. დ. მ. პ. საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა მოუწოდოს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს გამოგზავნონ მის განკარგულებაში საჯხედრო საქმის მცოდნე და საიმედო რევოლიუციონერები (პარტიის წევრები), სახალხო ორატორი რ. ჩიხლაძე დადიოდა პროვინციებში და ცეცხლის სიტყვით პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდებდა რევოლიუციონური რაზმის შესაქმნელათ.

3 იანვარს 1918 წ. გურიამ გამოგზავნა 200 კაცი პარტიის განკარგულებაში, რომელნიც შემდეგ შეივსო სხვა კუთხეებიდან გამოგზავნილი ამხანაგებით. სულ რაზმში 350 კაცამდე იყო. რაზმი გადაეცა ტფილისში მუშ. საბჭოს აღმ. კომიტეტს, რომლის ხელმძღვანელობით ის იცავდა რევოლიუციონურ წესრიგს ქალაქში.

5 თვის განმავლობაში საგანგებო რაზმის გვარდიელები უჯამაგიროთ მსახურობდენ. მარტის ბოლო რიცხვებში, როცა ჯერ კიდევ ცხინვალის ოპერაციები არ იყო დამთავრებული, ოსმალთა გააფთრებული ურდოები, ჩვენი სამხედრო ძალების დარღვევა-დასუსტებით გათამამებული, ცეცხლით და მახვილით შემოიჭრა ბათუმის ოლქში და ჩვენ ერთად ერთ ციხე-სამაგრეს ბათუმს მოუახლოვდა. მარტის 29, 30, 31 რიცხვებში გულშემზარავი ამბები მოდიოდა ბათუმიდან. უორგანიზაციო ჯარი სუსტი გამოდგა მტერთან ბრძოლაში. საგანგებო რაზმს არ შეეძლო ამ მოვლენისათვის გულ-გრილათ ეცქირა, რადგან ბათუმის დაცემით ქართველი ხალხის სასიცოცხლო ნერვი იჭრებოდა და ამ დროს დუმილი საშინელი ისტორიული დანაშაულობა იქნებოდა. რაზმს ფრონტზე არ გზავნიდენ, რადგან თვით თბილისი იყო საფრთხეში, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის კატეგორიულად მოითხოვს აღმ. კომიტეტისაგან ფრონტზე გაგზავნას. 1 აპრილს ბათომი დაეცა. სამგლოვიარო ზარმა დარეკა, რამაც ყოველი დემოკრატის და რევოლიუციონერის სული სევდით და მწუხარებით აავსო. 1 აპრილს ბათუმისაკენ გავემგზავრეთ. ჩვენ ვიცოდით, რომ ბევრს ვერაფერს გავაკეთებდით, მაგრამ სახელოვან სიკვდილს მაინც ვნახავდით რეაქციის შავ-ბნელი ძალებთან ბრძოლაში. წითელი დროშით, ბრძოლის ცეცხლით ანთებული გვარდიელები მიქროდენ ბათუმისაკენ, სადაც ჩვენი ღრმა რწმენით უნდა გათხრილიყო საგან. რაზმის საფლავი, ვინაიდან სამარცხვინო გამოქცევა ბრძოლის ველიდან ჩვენს წრეში შექმნილ ტრადიციის მიხედვით ყოვლად. შეუძლებელი იყო. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ დემოკრატია პირველ დამარცხებას არ შეუშინდება, კვლავ ფეხზე წამოდგება და მტერს უკუაგდებს

„Не тот, кто на землю упал,—побѣжден,

Не тот, кто разит,—побѣдитель"...

**ნატანები.**

5 აპრილია. დღის 12 საათზე ცნობა მოვიდა, რომ მტერი წინ მოიწევსო. ხუთ წუთში დარაზმული გვარდიელები 180 კაცი. ოროქლმავალით მიექანება პოზიციისაკენ. მათ ხელმძღვანელობს ოფიცერი დოლიძე. მდ. ოჩხამურის ნაპირას გვარდიელები ელვის სისწრაფით იშლებიან და მტერს უსაფრდებიან. ველით ოსმალთა ასკერების გადმოსვლას, მალე შეიარაღებული ასკერები ხიდს მოუახლოვდენ. პირველად ოფიცერ დოლიძემ გაისროლა. ტყვიები გაწვიმდენ. ორივე მხრიდან საშინელი ცეცხლი გაიხსნა, ოსმალმა არტილერია აამუშავეს. ჩვენი მხრიდან მარტო ტყვიამფრქვევლებით და თოფებით ვმოქმედობდით. დაბინდებისას, საღამოს $6^1/_2$ სათზე ბრძოლა შეწყდა. მოგვიკლეს გმირი დოლიძე, და სხვა ძვირფასი ამხანაგები, სულ 9 კაცი, დაგვიჭრეს ოფიც. ჩხაიძე და მასთან 12 კაცი. დაიწყო ბრძოლა მკაცრი შეტაკებით. 70-80 კაცმა 5-6 საათის განმავლობაში მტერი შეაჩერა. ოჩხამურის ბრძოლა ერთად ერთი ნათელი ზოლია გვარდიის გმირულ ისტორიაში.

8-აპრილს დილის 10 საათზე მტრის ერთი დივიზია ნატანების ფრონტზე სასტიკათ დამარცხდა და ჩვენს თვალწინ გადაიშალა მოკლულთა გვამებით მოფენილი ველი, რომელიც შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა.

10-აპრილს დროებითი ზავი ჩამოვარდა. მაგრამ 4 მაისამდე მაინც ნატანების ნესტიან და ჭაობიან მიდა-

მოებში ვიყავით. წვიმა, სიცივე, ტალახი, ნოტიო ჰავა, უვარგისი, სილით და თივით სავსე პური, ტანისამოსის ნაკლებობა, აი რა დაბრკოლებები უშლიდნენ ჩვენს მეომრებს ხელს ნატანების ფრონტზე; მაგრამ ისინი ყველა ამ გაჭირვებას უსიტყვოთ იტანდენ. არ ისმოდა საყვედურები!

4 **მაისი.** სანგრებიდან გვიწვევენ ნატანებში. ხდება რაზმის კრება, სადაც გვარდიელებს უცხადებენ, რომ ახალი საშიში ფრონტი იხსნება სოხუმის მხარეზე და იქით უნდა გაიგზავნოთო. ფიზიკურად დატანჯული, დაღლილი, უძინარი ხალხი იმავე წამს სურვილს აცხადებს სოხუმის ფრონტზე წასვლისას.

**5 მაისი,** აღდგომას, მატარებელი დაიძრა და რაზმი ფოთისაკენ გაემგზავრა. მიუხედავათ დიდ ფიზიკური ტანჯვასა, რომელიც განიცადეეს, რაზმელბი მაინც მღეროდენ, იცინოდენ, მხიარულობდენ. ოჩემჩირიდან ფეხით წავედით კოდორისაკენ. 11 მაისს, როცა ჩვენს და ბალშევიკებს შორის შერიგებაზე მოლაპარაკება იყო გამართული, როცა ჯერ ბრძოლას არ ველოდით და სიმღერა, ცეკვა-თამაში გვქონდა გამართული, ბალშევიკებმა უცბათ ყუმპრები დაგვიშინეს და მხიარულება შეგვაწყვეტინეს, აჩხარუნდენ ყუმბარები. რაზმი რაზმს გაჰყვა და იმავე წამში პოზიციები დავიკავეთ. 6 დღის ბრძოლის შემდეგ მტერი სასტიკათ დავამარცხეთ და სოხუმში ტრიუმფით შევედით.

17 **ივნისი.** პაპანაქება სიცხეა. საგანგებო რაზმი, ქ. გუდაუთში, ბალშევიკური ჯარებით და აჯინყებულთა ბრბოებით გარშემორტყმული სამი დღის მკაცრ ბრძოლის შემდეგ დამარცხდა. საგანგებო რაზმიდან აქ ტყვეთ ჩაუვარდა მტერს 70 კაცი.

24 კაცი კი შემთხვევით გადარჩა, გაარღვია მტრის რკალი და გუდაუთიდან გავიდა ახალ ათონის მონასტერთან მისვლამდე აჯანყებულთა ბანდებთან შეტაკება გვიხდებოდა მათ დაეჭირათ უკან დასახევი სოხუმ გუდაუთის გზა. იმავე დღეს ჩავედით სოხუმში.

სოხუმში იდგა ერთი გუნდი ყვირილის რაზმისა. სხვა არავითარი რეალური ძალა იქ არ იმყოფებოდა მტრის შესაჩერებლათ. ქალაქში იყო პანიკა. ამოძრავდენ რეაქციონური ელემენტები და ენერგიულ აგიტაციას ეწეოდენ ჩვენს წინააღმდეგ.

საბედისწერო წუთები დადგა.

ასეთ მდგომარეობას კარგათ გრძნობდა ის ნაწილი რაზმისა, რომელიც ბალშევიკებს ხელიდან დაუსხლტდა. გადავსწყვიტეთ ისევ პოზიციაზე წასვლა, თუმცა ჩვენ გაგზავნას მაშინ არავინ არ ფიქრობდა. შიში და სილაჩრე გვარდიელებში არ სუფევდა. გვარდ. სურგულაძემ ისიდორე რამიშვილს უთხრა „რა არის საშიში, მარტო მე ოთხ ტყვია მფრქვეველს ავამუშავებ. ასევე ჩემი ამხანაგები და მტერი რას დაგვაკლებსო.“ ისიდორეს გაუკვირდა ეს სითამამე, მომეცით ჩემი ტყვიამფრქვეველი—დაიძახა რაზმის უფროსმა ს. ღლონტმა. მსწრაფლ დავირაზმეთ და სოხუმიდან 8 ვერსზე, გუმისტის ხიდთან გავმაგრდით, სადაც სამი დღე დავყავით. მალე დამხმარე ძალები მოგვივიდა გენ. მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით და მოგვეცა საშვალება გამოცვლისა. ჩვენ სოხუმში დავბრუნდით. თავი მოვიყარეთ. გაიხსნა კრება.

კალამი ვერ ასწერს იმ სურათს, რასაც გაშეშებულ გვარდიელთა უსიტყვო კრება წარმოადგენდა. რაზმის უფროსი ღლონტი ათრთოლებულ ხმით აკეთებს მოხსენებას. ამბობს: გახედეთ, ამხანაგებო, ერთმანეთს! რამდენი ვიყავით და რა დავჩით. ჩვენი რაზმი ხელში ჩაუვარდა ჯალათებს, რომელთა ხელიდან მათ განთავისუფლების აზრს სამუდამოთ [illegible] გამოვეთხოვოთ. ხმებია, თითქოს ყველანი [illegible] ახლა რაღა ვართ, რას წარმოვადგენთ. უმჯობესია ჩვენც გავქრეთ, რომ გულსაკლავათ არ ვუყუროთ ჩვენს საშინელ ტრაღედიას. გენ. მაზნიაშვილს სურს ჩვენი მცირე რიცხოვან რაზმის დატოვება ქ. სოხუმში წესრიგის დასაცავათ. როგორც გსურთ ისე მოვიქცეთო. გვარდიელების ნაღვლიანი თვალები აშკარათ გამოხატავდა მწუხარებას და თან შურისძიებას ჯალათ მტარვალების მიმართ. ეს უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ გმირთა უსაზღვრო სულიერი ტანჯვა და შურისძიების გრძნობით გაბოროტება იყო. გადაწყდა: ეთხოვოს გენ. მაზნიაშვილს, რათა მან გაგვაგზავნოს ყველაზე წინ შეტევაზე გადასვლისას. ან სრულიად განადგურება და რაზმის სახელის სამუდამოთ მოსპობა, ან მტერზე შურისძიება და დატყვევებულ ამხანაგების განთავისუფლება.

გენ. მაზნიაშვილმა თხოვნა დააკმაყოფილა. მეორე დღეს ახალ ათონის მონასტერთან გავჩნდით, საცა იმ დროს ბრძოლა სწარმოებდა და მისვლისას დავიკავეთ მოწინავე ხაზი, 93 ივნისს შეტევაზე გადავედით და ქ. გუდაუთი ავიღეთ. მტერმა მდ. ბზიბამდე დაიხია. მას უკან დავედევნეთ, ჩვენი რაზმი გადაიქცა მოწინავე „დამკვრელ რაზმათ.“ გათენებისას ბზიბის ხიდს მიუახლოვდით. მზვერავებმა ხიდს გაღმა მტერი შენიშნეს და აუტეხეს სროლა. პირველათ „დამკვრელი რაზმი“ გაიგზავნა. გვქონდა სამი ტყვია მფრქვეველი. ხიდთან მიახლოვებისას დავათვალიერეთ გაღმა ნაპირი და რაკი შევნიშნეთ, რომ იქ მოწინააღმდეგეს დიდი ძალა არ ყავდა, გადავსწყვიტეთ ბრძანების მიუღებლათ შეტევაზე გადასვლა. მოულოდნელათ ჩვენი მხრიდან გაიშალა ტყვიამფრქვეველთა ცეცხლი, რომლის დახმარებით გვარდიელები სროლით გადარბოდენ წინ.

**15** წუთში ყველაფერი გათავდა.

ხიდი დავიჭირეთ. მტერს 9 კაცი მოვუკალით. რამოდენიმე დავატყვევეთ და უმრავლესობამ მოასწრო გაქცევა. ჩვენი მხრიდან ზარალი არ ყოფილა. იქ მათ წავართვით ბალშევიკური დროშა, რომელიც იმავე წლის ენკენისთვეში ტფილისში დაბრუნებისას ჩავაბარეთ მთავარ შტაბს.

### ეკატერინოფელდი, 16 დეკემბერი.

ბათალიონის უფროსისაგან ნაბრძანები გვაქვს მზათ ვიყოთ ფრონტზე წასასვლელათ. ღამის 12 საათზე გაისმა საყვირის ხმა. ეს ის საყვირია, რომელიც 12 დეკემბერს 4 დღის უკან, საქართველოს ახალგაზრდა ჯარმა საჩუქრათ გადასცა სახ. გვარდიას. ს. ხუხუნაიშვილს ხელში ეჭირა საყვირი, რომელიც აღვიძებდა გვარდიელებს და მოუხმობდა დარაზმვისაკენ.

17-ს სადახლოში ვიდექით. 18-ს სად. სანდარაში დაგვაბრუნეს და ეკატერინენფელდში გაგვგზავნეს. საღამოს 6 საათზე გავედით სანდარიდან. გასავლელი იყო 27 ვერსი. გათენებისას აუცილებლათ უნდა ვყოფილიყავით ეკატერინენფელდში.

დაღლილობა, უძილობა, სიცივე, ტალახიანი, გრძელი გზა, აუტანელ ფიზიკურ სატანჯველს წარმოადგენდა. თოვდა, დავისვენეთ მხოლოთ ხრამის ხიდთან მდებარე თათრების სოფელ ში.

გვარდიელები წარმოუდგენლათ დაიღალენ, დილის $6^1/_2$ საათზე ბათალიონის მოწინავე ნაწილი შევიდა ეკატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვა და სხვა ფრონტზე ომში მოკლული გვარდიელები.



**ილო ზათალაშვილი.**

მოკლულია ნატანების ბრძოლის დროს ჩოლოქზე, 8 აპრილს 1918 წ.



**სამოელ ბაქანიძე.**

მოკლული იქნა ცხინვალის პირველ ჯაჯანყების ჩაქრობის დროს.



**ალექსანდრე ბერძენიშვილი.**

ჩოხატაურის შტაბ. მუდ. კად. გვარდიელი.



**გრიგოლ ვარდანაშვილი.**



**ჯარ.-კაცი სპირ. შალვა. გოჩეიშვილი.**

მოკლული 1918 წ. ბათომში).



**ოფიცერი ვლად. დავ. ბარნაბიშვილი.**

მოკლული 1918 წ. სომხეთთან ომის დროს).



**დიმიტრი ვაჩეიშვილი.**



**გიორგი ვაჩეიშვილი.**



**გიორგი თაყნიაშვილი.**

შენიშვნა: სურათები, რომელთა მოთავსება ტეხნიკურ მიზეზების გამო ვერ მოხერხდა შემდეგ იქნება მოთავსებული.

რინენფელდში. ბევრი გზაში დავარდა, სიარული ვერ შესძლო. თავი არც კი მოგვეყარა ყველას ერთად, რომ ასტყდა ყოველი მხრიდან სროლა. მტერი მოულოდნელად თავს დაგვესხა, ჩაგვამწყვდია სოფ. ეკატერინენფელდში და გადმოვიდა შეტევაზე, ყველა მაღლობები მტრის ხელშია. სომხებმა არტილერისტები დახოცეს, რომელიც სოფლის განაპირა ადგილას იდგნენ და ზარბაზნები ხელში ჩაიგდეს.

დადგა საბედისწერო ჟამი. საველე შტაბი და 600—700 გვარდიელს ტყვეთ ჩავარდნა ელოდა.

ტფილისის გვარდიის განადგურება ეს გვარდიის თავის მოკვეთას ნიშნავდა. „ცოცხლად არ ჩავბარდეთ" გაისმოდა ხმა მებრძოლ რიგებში. გვარდიის ჯგუფთა მტერს გადავიდა შეტევაზე, იერიში 1 საათს გაგრძელდა, დიდი მამაცობა, გამოიჩინა ამ ბრძოლაში მთ. შტაბის წევრებმა ჯოლოელმა, მაისურაძემ და სხ. უკანასკნელი ამ სახელოვან ბრძოლის მსხვერპლი გახდა. მამაცობა გამოიჩინა აგრეთვე ხოხონაიშვილმა, შარაძემ და სხ. მრავალმა გვარდიელმა. მტერმა ვერ გაუძლო ჩვენს ცეცხლს და გაიქცა. დასტოვა ბრძოლის ველზე მრავალი მოკლულ-დაჭრილი.

არემარე, თოფების შხუილით, წითლად შეიღება. ისმოდა კვნესა, ძახილი და მწუხარება დაჭრილებისა. საგანგ. ბათალიონმა ამ ბრძოლაში 13 კაცი დაჰკარგა. დაჭრილები 25-დე. ძვირად დაგვიჯდა ეს გამარჯვება. ეკატერინენფელდმა იხსნა თფილისი, მაგრამ მის გვერდით გაითხარა ძმათა სასაფლაო, სადაც 35 გმირი—მებრძოლი სამუდამოთ დაიმარხა.

სამი წელი სრულდება, მას შემდეგ რაც ჩაეყარა საფუძველი სახალხო გვარდიის არსებობას. მოკლეა მისი ისტორია, მაგრამ მდიდარია შინაარსით, მოქმედებით. მას უნახავს გამარჯვებასთან ერთად დამარცხებაც, უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ არასოდეს სულით არ დაცემულა. პირიქით ყოველივე შეცდომა მისთვის მწარე გაკვეთილი იყო.

საგანგებო ბათალიონი ყველა ფრონტებზე, სადაც მას უხდებოდა ყოფნა, აქტიურ როლს თამაშობდა და არსად არ შეურცხვენია ის წითელი დროშა, რომელიც მას ჩააბარა პირველად გურიამ და შემდეგ თფ. აღმ. კომიტეტმა. ორ-სამ თვეზე მეტი მას არ ღირსებია სამი წლის განმავლობაში თავის ადგილზე, ტფილისში გაჩერება 1920 წლიდან ბათალიონში დაარსდა კულტურულ—განმანათლებელი სექცია, რომელიც ხელს უწყობს ბათალიონის გვარდიელების ზნეობრივ და გონებრივ ამაღლებას, მისწრაფში სოციალისტური იდეების გავრცელებას და ებრძვის იმ ბუნებრივ სამხედრო კასტიური სულის დამკვიდრებას, რომელიც არსებობს, უნებლიედ იქმნება სამხედრო ორგანიზაციებში. ამრიგად დღეს ცალ ხელში მას უჭირავს წიგნი, მეორეში ხიშტი. კულტურა აძლევს მას იმის შეგნებას თუ რაზე და ვის წინააღმდეგ უნდა აამუშაოს მან ხიშტი. თუ ცა მოიწმინდა, მოსისხლე მტრები ჩამოგვშორდა და ჩვენს დემოკრატიას მიეცა საშუალება მშვიდობიანი ცხოვრებისა, მაშინ გვარდია, როგორც მოწინავე რაზმია ბრძოლაში, ისე მოწინავე იქნება კულტურულ—შემოქმედებაში და თავის რკინის ენერგიას ის მოახმარს არა ადამიანის სიცოცხლის გამანადგურებელ იარაღის ჩხარუნზე ფიქრს, არამედ დემოკრატიულ პროგრესიულ საქმეებზე ზრუნვას.

**გვარდ. დ. ო-ძე.**

# გვარდიელთა წერილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვან სახალხო გვარდიის მედგარმა ბრძოლამ არა ერთხელ და ორჯერ აგრძნობინა მწარე დამარცხება ჩვენი ხალხის მტრებს.

ბევრჯერ გვქონია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოხანათ მტერთან, მაგრამ სიმართლემ, სწორი გზით სვლამ, თავისუფლების სიყვარულმა ყველგან გამარჯვება გვარგუნა და ერთხელაც არ გვიჩვენებია მტრისათვის ძირს დახრილი ჩვენ მიერ აღმართული წითელი დროშა, პირიქით ჩვენი დემოკრატია მუდამ თავისი გულადობით, გამბედაობით, წინ ეგებებოდა თავის ხვედრ ბედს.

საქართველოს რევოლიუციონურმა დემოკრატიამ მართალია დიდი მსხვერპლი გაიღო თავის დაწყებულ, დიად იდეალურ საქმისათვის, მართალია ბევრი საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები დაეცნენ ბრძოლის ველზე მამაცურათ მოხანათ მტერთან ბრძოლაში, მაგრამ წარბ შეუხრელად მაინც მიიწევდა წინ, თავისუფლების დასაცავათ, ინტერნაციონალური დროშით ხელში და კვალავდა ეკლიან გზას.

ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მტრებმა იციდნენ და იციან მნიშვნელობა ჩვენი სახელოვანი სახალხო გვარდიის ბრწყინვალე დღესასწაულისა და ამიტომ რამდენად ახლოვდება ჩვენთვის მნიშვნელოვანი დღესასწაული, იმდენად ჩვენი მტრები ვერ გრძნობენ მოსვენებას და თორმეტ დეკემბრისათვის მუდამ გვიმართავენ ფრონტს; ვიმყოფებით მობილიზაციაში, მაგრამ სასახელო ბედნიერება ჩვენი ერისა ის არის, რომ მამაცათ მტერს გარეშე მტრულათ უხვდება, შინ-კი დღესასწაულობს, ზეიმობს, რაც ჩვენ მტრებს გულში ლახვრად ესობა. მაშასადამე, ჩვენი ხალხის პოლიტიკური გამარჯვება, მისი ნებისყოფის სიძლიერე და სულ-გრძელობა საუკეთესო საწინდარია ჩვენი გამარჯვების.

წელს მოგვევლინა ქემალ-ფაშა, დესპოტიური თვითმპყრობელობის გენერალი, რომელიც ნაციონალისტურ-იმპერიალისტურ სულის კვეთებითაა გაჟღენთილი, რომელსაც ხიზრალულისა არას დროს არაფერი სცოდნია.

ქემალ-ფაშა ვაჭრობს დაბნეულებული ხალხის სისხლით. ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და ბაქოელ კომუნისტთა ცბიერებით მას სურს თავისი შოვინისტური ზრახვები სინამდვილეთ აქციოს.

მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ჯარი და გვარდია ერთის აზრით შეკავშირებული ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, როგორც ბუნებრივი კლდე სდგას თავის საზღვრებზე საყვარელ სამშობლოსი და საკუთარ კერის დასაცავად მასზე წამოსეულ მტრის ლაშქარს, როგორც სალი კლდე ეკვეთება და ვით წყალის ტალღას უკუ აქცევს და გამარჯვებული ტკბილის სიმღერით შინ დაბრუნდება.

მაშ გაუმარჯოს 12 დეკემბერს!

სახალხო გვარდიას და ჯარს!

გაუმარჯოს სოციალისტურ მთავრობას!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს.!!

რკინის გზის მუშა **ივანე ნაზარბეგოვი.**

# 12 დეკემბერი 12

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

## გაუმარჯოს ფრონტს!

## გაუმარჯოს ჯარსა და გვარდიას!

# 12 დეკემბერი 12

[illegible]